შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ქობულეთის სოფლის წყალი”

წ ე ს დ ე ბ ა

ქობულეთი
2011 წელი

მუხლი 1. საერთო დებულებანი

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქობულეთის სოფლის წყალი“ (შემდგომში საზოგადოება) შექმნილია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის დამფუძნებელია თვითმმართველი ერთეული ქობულეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი თვითმმართველი ერთეულის ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს სახით.

2. საზოგადოება წარმოიქმნება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

1.საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შემოკლებით – შ.პ.ს.

2. იგი წარმოადგენს იურიდიულ პირს საქართველოს კანონმდებლობით.

3.საფირმო სახელწოდებაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქობულეთის სოფლის წყალი”.

4. საზოგადოებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შესაძლებელია გააჩნდეს ოფიციალური ტვიფრი და ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია მისი სახელი, დამოუკიდებელი ბალანსი, საფირმო ნიშანი რეგისტრირებული დადგენილი წესით, აგრეთვე საბანკო ანგარიშ(ებ)ი საბანკო დაწესებულებებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

5. საზოგადოების იურიდიული მისამართია: ქალაქი ქობულეთი, პოპოვის ქ. №-7.

მუხლი 3. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. საზოგადოება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად ახორციელებს მართლზომიერ და არაერთჯერად საქმიანობას მოგების მიღების მიზნით.

2. საწესდებო მიზნების შესაბამისად, საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს:

- სასმელი წყალმომარაგებისა და საჯარო, მეორადი და წნევის ტუმბოების ჩათვლით ექსპლოატაცია და მისი შემდგომი განვითარება;
- წყალმიმღებებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია და უზრუნველყოფა;
- საზოგადოების ინფორმირება წყლის წარმოების ეფექტურად გამოყენებისა და წყლის გახარჯვის შეზღუდვების შესახებ;
- მრიცხველთა დაყენების ხელშეწყობა;

3. საზოგადოება უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან სამუშაოების შესრულებასა და მომსახურებაზე;

4. საწარმოს უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, საწარმოსა და პარტნიორის ინტერესებს;

5. საწარმო თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში – აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების საფუძველზე.

6. საწარმოს ძირითადი მიზანია მოგების მიღება, წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო-კომერციული საქმიანობის შედეგად.

მუხლი 4. საწესდებო კაპიტალი, საზოგადოების ქონება

1. საზოგადოების საწესდებო კაპიტალში თვითმმართველი ერთეულის – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შეტანის თაობაზე გადაწყვეტილებას ღებულობს თვითმმართველი ერთეულის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინების საფუძველზე.

2. დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით, საზოგადოებას უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით აიღოს მიზნობრივი სესხები, მოიზიდოს თავისუფალი სახსრები, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისაგან (პარტნიორის ნებართვით).

3. საზოგადოების ქონებას შეადგენს ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე სხვა ფასეულობანი, რომელთა ღირებულება აისახება საზოგადოების დამოუკიდებელ ბალანსში. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქობულეთის სოფლის წყალი”-ს

საწესდებო კაპიტალში შეტანილ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

- ბობოყვათის წყალსადენი: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 20/45/04/003) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 5200 ლარს. რეზერვუარი 160 ტ (საკადასტრო კოდი 20/44/03/005) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 10000 ლარს. წყალსადენი 8000 მ. (საკადასტრო კოდი 20/00/13) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 15810 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (რეზერვუარი, სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18048 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 112980,48 ლარს. სულ: 143990,48 ლარი.
- ბუკნარის წყალსადენი: რეზერვუარი 250 ტ (საკადასტრო კოდი 20/48/03/023) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 19475 ლარს. წყალსადენი 7000 მ. (საკადასტრო კოდი 20/00/23) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 6440 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (რეზერვუარი) მიმაგრებული მიწა 50 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 313 ლარს. სულ: 26228 ლარი.
- ჭახათის წყალსადენი: რეზერვუარი 20 ტ (საკადასტრო კოდი 20/41/02/004) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 1900 ლარს. რეზერვუარი 20 ტ (საკადასტრო კოდი 20/41/02/005) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 1900 ლარს. წყალსადენი 21900 მ. რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 16150 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (რეზერვუარები) მიმაგრებული მიწა 22 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 137.72 ლარს. სულ: 20087.72 ლარი.
- ციხისძირის წყალსადენი: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 20/52/01/001) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 374183 ლარს. რეზერვუარი 600 ტ (საკადასტრო კოდი 32) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 500000 ლარს. წყალსადენი 12413 მ. (საკადასტრო კოდი 20/00/07) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 267298 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (რეზერვუარი, სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18186 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 113844,36 ლარს. სულ: 1255325,3 ლარი.
- დაგვას წყალსადენი: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 20/45/02/013). რეზერვუარი 300 ტ (საკადასტრო კოდი 20/45/03/004) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 20000 ლარს. რეზერვუარი 50 ტ (საკადასტრო კოდი 20/45/03/003) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 7585 ლარს. რეზერვუარი 50 ტ (საკადასტრო კოდი 20/45/03/005) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 7585 ლარს. რეზერვუარი 50 ტ (საკადასტრო კოდი 20/45/02/014) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 7580 ლარს. წყალსადენი 12000 მ. (საკადასტრო კოდი 20/00/14, საკადასტრო კოდი 20/00/25, საკადასტრო კოდი 20/00/26, საკადასტრო კოდი 20/00/24) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 28771 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (რეზერვუარი, სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 595 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 3724,7 ლარს. სულ: 75245,7 ლარი.
- კვირიკეს წყალსადენი: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 20/52/01/003). რეზერვუარი 50 ტ (საკადასტრო კოდი 20/43/05/002) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 4000 ლარს. რეზერვუარი 200

ტ (საკადასტრო კოდი 20/43/02/013) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 19000 ლარს. რეზერვუარი 10 ტ (საკადასტრო კოდი 20/43/02/014) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 700 ლარს. წყალსადენი 21650 მ. (საკადასტრო კოდი 20/00/22) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 72782 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (რეზერვუარი, სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18076 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 113155,76 ლარს. სულ: 210637,76 ლარი.

- ლეღვას წყალსადენი I: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 20/31/02/003) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 8381 ლარს. რეზერვუარი 300ტ (საკადასტრო კოდი 20/32/05/003) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 28000 ლარს. წყალსადენი 17700 მ. (საკადასტრო კოდი 20/00/12) რომლის საბაზრო ღირებულება შპს „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 47421 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (რეზერვუარი, სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18066 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 113068,12 ლარს. სულ: 196870,12 ლარი.

- ლეღვას წყალსადენი II: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 20/31/02/006) რომლის საბაზრო ღირებულებაც შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 8000 ლარს. რეზერვუარი 300ტ (საკადასტრო კოდი 20/31/02/007) რომლის საბაზრო ღირებულებაც შპს „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 20500 ლარს. წყალსადენი 13500 მ. (საკადასტრო კოდი 20/00/45) რომლის საბაზრო ღირებულება შპს „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 15480 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (რეზერვუარი, სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18334 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 113744 ლარს. სულ: 157724 ლარი.

- დაბა ოჩხამურის წყალსადენი: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 20/37/01/011) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 8000 ლარს. რეზერვუარი 150ტ (საკადასტრო კოდი 20/37/04/003) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 20500 ლარს. რეზერვუარი 750ტ (საკადასტრო კოდი 20/37/06/009) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 50000 ლარს. რეზერვუარი 150ტ (საკადასტრო კოდი 20/37/06/009) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 65805 ლარს. წყალსადენი 27300 მ. (საკადასტრო კოდი 200045, საკადასტრო კოდი 26/000, საკადასტრო კოდი 6000, საკადასტრო კოდი 23268) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 652268 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (რეზერვუარი, სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18334 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 113744 ლარს. სულ: 910317 ლარი.

- ქვედა აჭყვას წყალსადენი: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 205001106) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 11000 ლარს. რეზერვუარი 20 ტ (საკადასტრო კოდი 204703009) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 400 ლარს. წყალსადენი 10000 მ. (საკადასტრო კოდი 200009) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 20141 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (რეზერვუარი, სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18008 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 124978,08 ლარს. სულ: 156519,08 ლარი.

- ქვედა აჭყვას წყალსადენი: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 204702022) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 14000 ლარს. რეზერვუარი 15 ტ (საკადასტრო კოდი 204702024) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის

საფუძველზე შეადგენს 250 ლარს. წყალსადენი 7800 მ. (საკადასტრო კოდი 200009) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 17800 ლარს. შენობა -ნაგებობაზე (რეზერვუარი, სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18008 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 112730,08 ლარს. სულ: 144780,08 ლარი.

- საჩინოს წყალსადენი: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 204702022) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 11400 ლარს. წყალსადენი 10350 მ. (საკადასტრო კოდი 200009) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 18970 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18008 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 112730,08 ლარს. სულ: 143100,08 ლარი.

- შუაღელეს წყალსადენი: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 204502002) რომლის საბაზრო ღირებულებაც შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 200 ლარს. რეზერვუარი 300 ტ (საკადასტრო კოდი 204604004) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 2650 ლარს. წყალსადენი 5000მ. (საკადასტრო კოდი 200011) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 18670 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18089 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 113237.14 ლარს. სულ: 134757,14 ლარი.

- ხუცუბანის წყალსადენი: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 205201002) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 200 ლარს. რეზერვუარი 250 ტ (საკადასტრო კოდი 203906002) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 22250 ლარს. რეზერვუარი 600 ტ (საკადასტრო კოდი 203903014) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 58500 ლარს. წყალსადენი 70000მ. (საკადასტრო კოდი 200021) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 12880 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18205 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 113963,3 ლარს. სულ: 207593,3 ლარი.

- ზენითის წყალსადენი I: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 204102006) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 481043 ლარს. რეზერვუარი 300 ტ (საკადასტრო კოდი 203501004) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 400000 ლარს. რეზერვუარი 150 ტ (საკადასტრო კოდი 204001012) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 250000 ლარს. რეზერვუარი 50 ტ (საკადასტრო კოდი 203501005) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 100000 ლარს. რეზერვუარი 300 ტ (საკადასტრო კოდი 203303017) რომლის საბაზრო ღირებულებაც შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 150000 ლარს. წყალსადენი 71800მ. (საკადასტრო კოდი 200043) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 629527 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (რეზერვუარი, სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18237 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 114163.62 ლარს. სულ: 2124733.6 ლარი.

- ზენითის წყალსადენი II: სათავე ნაგებობა, რეზერვუარი 250 ტ (საკადასტრო კოდი 203501003) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 2850 ლარს. წყალსადენი 12350მ. (საკადასტრო კოდი 200019) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 25426 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (რეზერვუარი, სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18205 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 113963,3 ლარს. სულ: 142239.3 ლარი.

- ქაქუთის წყალსადენი: სათავე ნაგებობა (საკადასტრო კოდი 204102007) რომლის საბაზრო

ღირებულებაც შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 23003 ლარს. რეზერვუარი 250 ტ (საკადასტრო კოდი 203102005) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 22250 ლარს. წყალსადენი 14630მ. (საკადასტრო კოდი 200044) რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 44534 ლარს. შენობა-ნაგებობაზე (რეზერვუარი, სათავე-ნაგებობა) მიმაგრებული მიწა 18205 კვ.მ, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 113963,3 ლარს. სულ: 203750,3 ლარი.

- ადმინისტრაციული შენობა – მდებარე ქ.ქობულეთში, პოპოვის ქუჩა №7-ში და 6 ერთეული ავტომობილი, რომლის საბაზრო ღირებულება შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენს 145216 ლარს.

შ.პ.ს. „ქობულეთის სოფლის წყალი”-ს საწესდებო კაპიტალის ღირებულება სულ შეადგენს 6423269 (ექვსი მილიონ ოთხასოცდასამი ათასორას სამოცდაცხრა) ლარს.

საზოგადოების ქონების ფორმირების წყაროებია:

ა) პარტნიორის შენატანი საწესდებო კაპიტალში;

ბ) პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების რეალიზაციისაგან, აგრეთვე სამეურნეო საქმიანობის სხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები;

გ) უსასყიდლო ან საქველმოქმედო შენატანები, ორგანიზაციების, საწარმოებისა და მოქალაქეების შემოწირულობები;

დ) სხვა წყაროები, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

4. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეიძლება შეიცვალოს პარტნიორის გადაწყვეტილებით.

5. საწესდებო კაპიტალში ქონებრივი და არაქონებრივი შენატანის ღირებულებას განსაზღვრავს დამოუკიდებელი ექსპერტი (აუდიტი).

6. საწესდებო კაპიტალში ფულადი, ქონებრივი და არაქონებრივი შენატანის ღირებულება საზოგადოების საბუღალტრო წიგნებში აღირიცხება ეროვნული ვალუტით.

მუხლი 5. დამფუძნებელი პარტნიორი, მისი უფლებები და მოვალეობები

1. საზოგადოების დამფუძნებელი არის თვითმმართველი ერთეული – ქობულეთის მუნიციპალიტეტი 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით.

2. პარტნიორს უფლება აქვს:

ა) მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების სამეურნეო საქმიანობაში და მართვაში, წესდებით განსაზღვრული წესით.

ბ) მოითხოვოს საზოგადოების სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, გაეცნოს მათ პირადად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით, გააკეთოს დოკუმენტის პირები.

გ) წილის გასხვისების შემთხვევაში მის ფულად გამოსახულებაში შეფასებას ახდენს დამოუკიდებელი ექსპერტი, საბაზრო ფასების, აქტივებისა და პასივების გათვალისწინებით.

3. პარტნიორი ვალდებულია:

ა) დაიცვას საზოგადოების წესდება;

ბ) იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. საზოგადოების მართვა

1. პარტნიორთა კრება იმართება სულ ცოტა წელიწადში ერთხელ.

2. რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს:

ა) პარტნიორს;

ბ) საზოგადოების დირექტორს, პარტნიორთან შეთანხმებით;

გ) საზოგადოების დირექტორმა პარტნიორთან შეთანხმებით, დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს კრება თუ წლიური ბალანსიდან ან წლის განმავლობაში შედგენილი ბალანსიდან ირკვევა, რომ საზოგადოებამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს.

3. კრების ორგანიზაცია ევალება დირექტორს.

4. დირექტორს შეუძლია მოიწვიოს საზოგადოების კრება პარტნიორისათვის ერთი კვირით ადრე გაგზავნილი დაზღვეული წერილით, რომელიც უნდა შეიცავდეს კრების თარიღს და დღის წესრიგის პროექტს.

5. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:
ა) წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;
ბ) საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;
გ) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
დ) ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;
ე) ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;
ვ) ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;
ზ) პროკურის გაცემა და გაუქმება;
თ) წლიური შედეგების დამტკიცება;
ი) აუდიტორის არჩევა;
კ) საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
ლ) ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;
მ) იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;
ნ) შენატანების მოთხოვნა;
ო) დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;
პ) სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
ჟ) ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

7. გადაწყვეტილება მიიღება კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით.

8. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას დირექტორმა უნდა შეათანხმოს პარტნიორთან.

9. დირექტორი ერთპიროვნულად ახორციელებს საზოგადოების მართვას. პარტნიორთა კრების მიერ განსაზღვრული წესით და პირადად აგებს პასუხს მის სამეურნეო შედეგებზე; დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ხსნის ანგარიშებს ბანკში, საწიროების შემთხვევაში იღებს სესხებს, პარტნიორთან შეთანხმებით სამუშაოდ იღებს და ათავისუფლებს მუშაკებს, წყვეტს მათი წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხებს, ამტკიცებს საზოგადოების მართვის სტრუქტურას და საშტატო განრიგს, შეაქვს ცვლილებები მასში, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სტანდარტებისა და ნორმების დაცვას საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში.

10. საზოგადოების დირექტორს ნიშნავს და ანთავისუფლებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან/და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით.

მუხლი 7. საზოგადოების სამეურნეო საქმიანობა

საზოგადოება საქმიანობას ახორციელებს საკუთარი სახელით.

მუხლი 8. დირექტორი

1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს.

2. დირექტორმა თავისი ამოცანები უნდა შეასრულოს კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. ის უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის პირადად, მთელი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

მუხლი 9. წლიური შედეგები

1. წლიური შედეგები აისახება საზოგადოების ბალანსითა და საბუღალტრო ანგარიშებით, რომელსაც დირექტორი დასამტკიცებლად უდგენს პარტნიორთა კრებას, საფინანსო წლის შედეგების მიხედვით.

2. ბიუჯეტთან და ბანკებთან ანგარიშსწორების შემდეგ წმინდა მოგების გამოყენების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. აღრიცხვა და ანგარიშგება

1. საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას საზოგადოება ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოცულობითა და პერიოდულობით.

2. სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 11. საზოგადოების საქმიანობის კონტროლი

1. საზოგადოების ხელმძღვანელობის საქმიანობას აკონტროლებს პარტნიორი.

2. საჭიროების შემთხვევაში პარტნიორი ნიშნავს აუდიტორს (შიდა აუდიტორს), რომელიც საზოგადოების საქმიანობას აკონტროლებს საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული წესით.

3. საზოგადოების საფინანსო საქმიანობის კონტროლისათვის საზოგადოება უფლებამოსილია მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი.

4. სახელმწიფო საზოგადოების საქმიანობას აკონტროლებს ამ წესდებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 12. პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

1. საზოგადოება თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

2. დავა საზოგადოებასა და საზოგადოების მუშაკს შორის წყდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

3. საზოგადოების დირექტორის და ადმინისტრაციის მუშაკების პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მეწარმეთა შესახებ კანონით, შრომის და სამოქალაქო კანონმდებლობის მოქმედი ნორმებით.

მუხლი 13. საზოგადოების რეორგანიზაცია/ ლიკვიდაცია

1. საზოგადოების ლიკვიდაცია, გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა ნატურით ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების წესი განისაზღვრება „გადახდისუუნარობისსაქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 14. დამატებითი პირობები

1. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ პარტნიორის გადაწყვეტილებით. წესდების ყველა რეგისტრირებული ცვლილება და დამატება ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.

2. საზოგადოების სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში და სამეწარმეო რეესტრში შეტანილი სავალდებულო ფაქტების ცვლილება ასევე საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება ძალაში შედის მისი რეგისტრაციის დღიდან.

3. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე წესდებით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. წესდება შედგენილია ხუთ ორიგინალურ ეგზემპლარად, ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.